სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ შპს „ჯეოფერტი“ კასპის მუნიციპალიტეტში, ქ. კასპის ტერიტორიაზე ახორციელებს ორგანულ-მინერალური სასუქების საწარმოს ექსპლუატაციას. საწარმოში დღეისათვის იწარმოება სამი სახის სასუქი:

- ბაქტერიული, ორგანულ–მინერალური სასუქი „ბონაბუსტი” - (მარკა „ა” – თხევადი 12%-ნი);
- ბაქტერიული, ორგანულ–მინერალური სასუქი „ბონაფერტი”- (გრანულირებული);
- ბაქტერიული, ფოსფოროვანი, ორგანულ–მინერალურ სასუქი „ბონაკრაფტი” (გრანულირებული).

გარდა აღნიშნულისა, საწარმოში არსებული ტექნოლოგიური ხაზების საშუალებით შესაძლებელია დაფქული ცეოლითის წარმოება, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნიადაგების გაუმჯობესების მიზნით.

წარმოგიდგენთ შპს „ჯეოფერტი“-ს ორგანულ-მინერალური სასუქების საწარმოს სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს დასკვნას.

წერილს თან ერთვის:

- ქ. კასპში მდებარე შპს „ჯეოფერტი“-ს ორგანულ-მინერალური სასუქების საწარმოს სკოპინგის ანგარიში -1 ეგზემპლიარის ნაბეჭდი ვერსია;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საწარმოს განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით CD დისკზე;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ჯეოფერტი“-ს რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

თენგიზ გვაზავა

შპს „ჯეოფერტი“-ს დირექტორი

ს.ს.ი.ს. გარემოს ეროვნული სააგენტო
26 01 2024 წ.
№ 791